

მოსკოვი. "დინამოს" სტადიონი. 23 ოქტომბერი.

ცსკა – "დინამო" (თბილისი) 0:0.

ცსკა: ასტაპოვსკი, საუხი, შვეცოვი, კოლპოვსკი, ოლშანსკი, მოროზოვი, ჩესნოკოვი, კოპეიკინი, ნაზარენკო, ნიკონოვი, ტარხანოვი.

"დინამო": გოგია, ხიბანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მაჩაიძე, ქორიძე, დარასელია, დვალიშვილი, წერეთელი.

მსაჯი: მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები – 5:3.

დასამალი რაა: მოსკოველი ფეხბურთის მოყვარულნი განცვითრებული და განბილებული იყვნენ თბილისის "დინამოს" მოულოდნელი და გაუგებარი მარცხით 20 ოქტომბრის მატჩში ბუდაპეშტის მტკ-სთან თასების მფლობელთა თასზე. თბილისელებმა წლეულს მთელ რიგ დიდი წარმატებებს მიაღწიეს, რამდენიმეჯერ, განსაკუთრებით სსრ კავშირის თასის ფინალში, შესანიშნავი თამაშით მოხიბლეს მოსკოველი მაყურებელი და ეს 1:4 საკუთარ მინდორზე, როგორლაც, არ ეტეოდა მოვლენათა ლოგიკური მსვლელობის ჩარჩოებში.

ამიტომ იყო, რომ ისინი, ვინც სტადიონზე მოვიდა განვლილ შაბათს, მოუთმენელი მოლოდინისა და ინტერესის გრძნობით იყვნენ შეპურობილი: რა სიურპრიზს შემოგვთავაზებენ თბილისელები, რა დონეზე ითამაშებენ – საკავშირო თასისა თუ ევროპის თასისა?

დაიწყო მატჩი და პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ თბილისელები სრულიადაც არ იყვნენ განწყობილი, რომ გაემეორებინათ თავიანთი ბოლო თამაშის შეცდომები ამ უკიდურესად საპასუხისმგებლო შეხვედრაში ცსკა-ს ძლიერ გუნდთან. ცსკა ახლა ძალგე საშიში მეტოქეა ჩემპიონატის ყველა მონაწილისთვის. არმიელები საშემოდგომო გათამაშებაში მაღალი შედეგიანობით გამოირჩევიან, ბოლო ხანებში მათ დიდი ანგარიშით დაამარცხეს "ჩერნომორეცი" (4:0), "კრილია სოვეტოვი" (5:1), 3 ბურთი გაიტანეს "ზენიტის" კარში და მოსალოდნელი იყო, რომ ამჟერადაც შემტევ ტაქტიკას აირჩევდნენ, მით უმეტეს, რომ დინამოელებს კვლავ აკლდათ თავდასხმის საუკეთესო მოთმაშები.

მასპინძლებმა ასეც დაიწყეს თამაში – სწრაფი, ხშირი იერიშებით, მაგრამ თბილისელთა კარგად ორგანიზებულ, ენერგიულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. სტუმრები არ იპნეოდნენ, დროულად ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ხოლო როცა საქმე მეკარე გოგიამდე მიღიოდა, ისიც უშეცდომოდ და თავგანწირვით მოქმედებდა. ამავე დროს, საკმარისი იყო მცირე შესაძლებლობაც და არმიელთა ნახევარზე მეტად სახითათო კონტრშეტევები ხორციელდებოდა. ასტაპოვსკი იღბლად გადაურჩა ჩივაძის, წერეთლის, ხინჩაგაშვილის უძლიერეს დარტყმებს.

მეტოქეებმა ბრძოლის ტაქტიკა არც მეორე ტაიმში შეცვალეს. მოსკოველები ისევ უტევდნენ, გოგიას ორი უიმედო ბურთის აღება მოუხდა ტარხანოვისა და მოროზოვისგან, "დინამო" კი მოფიქრებულად იცავდა თავს, ხოლო შემდეგ გრძელი გადაცემებით გაჰყავდა თავისი თავდამსხმელები მოპირდაპირე კართან.

საბოლოოდ ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო მიეღწია წარმატებისთვის და
ციფრები 0:0 ბოლომდე შემორჩია ელექტროტაბლოს.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 26 ოქტომბერი, 1976 წ.